# ახალი განთიადი

,,შეღნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული,,

2021 წელი 28 აპრილი № 4 № 8167

ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

## კასპში მცხოვრებ 8 ოჯახს საცხოვრებელი ფართები საკუთრებაში გადაეცა

საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე კასპში, რკინიგზის დასახლებაში მცხოვრებ 8 ოჯახს საცხოვრებელი ფართები სიმბოლურ ფასად გადაეცა.

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული მამუკა სალარეიშვილი, რწმუნებულის მოადგილე ამირან ქრისტესიაშვილი, ქონების ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი გიორგი დუგლაძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები მოსახლეობას შეხვდნენ და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობები გადასცეს. რწმუნებულის თქმით, წლების განმავლობაში საცხოვრებელ ფართებში მცხოვრები ოჯახები ბინების დაკანონებას ვერ ახერხებდნენ, ამიერიდან კი, ერთობლივი მუშაობის შედეგად, საკითხი გადაჭრილია.

,,დღეიდან რკინიგზის დასახლებაში მცხოვრებ ოჯახებს შესაძლებლობა ექნებათ, შექმნან ამხანაგობა და სხვადასხვა პროექტი განახორციელონ. რეგიონში არიან ოჯახები, რომლებსაც მსგავსი მდგომარეობა აქვთ და შესაბამისად, პროექტი გაგრძელდება'' - აღნიშნა მამუკა სალარეიშვილმა.

## სოფელ იდლეთის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია

სოფელ იდლეთში მისასვლელ გზაზე ასფალტის დაგების სამუშაოები, მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ დავით ლეონიძემ დაათვალიერეს.

1 070 გრძივი მეტრი გზის რეაბილიტაციის სამუშაოებს შპს “ერტედე” ახორციელებს და მასზე 349 999 ლარი იხარჯება.

პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. შპს “სოფლის წყალმა” გზის რეაბილიტაციის დაწყებამდე 350 გრძივი მეტრი სასმელი წყლის დაზიანებული მილი ამოცვალა.

დაზიანებული გზა აფერხებდა ავტოტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა გადაადგილებას, განსაკუთრებით ნალექიან ამინდში. სოფლის განვითარებისათვის მისასვლელი გზის მოწყობა აუცილებელია.

მუნიციპალიტეტის სოფლებში მისასვლელი გზების უმეტესობა განახლებულია. პროცესი გაგრძელდება, ვიდრე ყველა სოფელს მოწესრიგებული მისასვლელი გზა არ ექნება - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ.

### საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელში

## საირიგაციო სისტემები საჩუქრად

USAID-ის პროექტისა და ისრაელის საელჩოს თანამშრომლობის ფარგლებში საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ გამდლისწყაროს მაცხოვრებლებს საირიგაციო სისტემები გადაეცათ.

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული მამუკა სალარეიშვილი USAID-ის საქართველოს მისიის დირექტორთან პიტერ ვიბლერთან და ისრაელის ელჩთან რან გიდორთან ერთად საოკუპაციო გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფელ გამდლისწყაროში იმყოფებოდა. USAID-ისა და ისრაელის საელჩოს თანამშრომლობის ფარგლებში სოფლის 59 მაცხოვრებელს 500კვ.მ. წვეთოვანი სარწყავი სისტემა გადასცეს.

,,მორიგი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა USAID/ZRDA-მ ჩვენს რეგიონში, ისრაელის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით გამდლისწყაროს 60-მდე მაცხოვრებელს წვეთოვანი სარწყავი სისტემები გადასცა.

სოფელი საოკუპაციო ხაზთან მდებარეობს და ადგილობრივებისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მსგავსი ტიპის პროგრამების განხორციელება.

სახელმწიფო და საერთაშორისო პროგრამები ადგილობრივ ფერმერებს შესაძლებლობას აძლევს გააუმჯობესონ მოსავლის ხარისხი და შესაბამისად, გაზარდონ მოგება.

ჩვენ მომავალშიც მჭიდროდ ვითანამშრომლებთ უცხოელ პარტნიორებთან და ერთობლივად განვახორციელებთ მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებულ პროექტებს,'' - აღნიშნა რწმუნებულმა.

ღონისძიება USAID-ის, ისრაელის საელჩოსა და ისრაელის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (MASHAV) პარტნიორობის ხელშესახებ შედეგს წარმოადგენს, რის საფუძველზეც ფერმერებს შესაძლებლობა მიეცათ გაზარდონ მოგება, გააუმჯობესონ ხარისხი და პროდუქციის რეალიზაციიდან უფრო მეტი შემოსავლები მიიღონ. ადგილობრივ ფერმერთა საჭიროების წინასწარი შესწავლის საფუძველზე, რაც მათი მოსავლის ოპტიმიზაციას გულისხმობდა, USAID/ZRDA-მ მჭიდროდ ითანამშრომლა MASHAV-თან, რათა საოკუპაციო გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ფერმერები წვეთოვანი სარწყავი სისტემით აღეჭურვა და ბენეფიციარებს მოცემული სისტემა საკუთარ მცირე ზომის ნაკვეთებზე საჭიროებისამებრ გამოეყენებინათ.

## სკვერების განახლების სამუშაოები

კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ, აა(ი)პ “კასპის კეთილმოწყობის” დირექტორთან გიორგი ხარატიშვილთან ერთად, ქალაქის სკვერებში მიმდინარე განახლების სამუშაოები დაათვალიერა.

ამჟამად ქალაქის ყველა სკვერში მიმდინარეობს სკამების, მაგიდების, ბავშვების გასართობი საშუალებების, ღამის განათების ბოძების, ღობეების სამღებრო სამუშაოები. ნაწილობრივ ირგვება მცენარეები.

დასვენების და გართობის სივრცე აუცილებელია, ამიტომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქში განთავსებული სკვერების გამწვანებას და მოვლა-პატრონობას.

განსაკუთრებულ მზრუნველობას კი ბავშვები საჭიროებენ, ამისათვის აუცილებელია მეტი გასართობი საშუალებების მოწყობა, რომელიც დაგეგმილი გვაქვს - აღნიშნა ვახტანგ მაისურაძემ.

### ოფიციალური ქრონიკა

# მოქალაქეთა ჯანდაცვა და სოციალური პროგრამა



კასპის მუნიციპალიტეტის მერიისათვის მოქალაქეთა ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება განსაკუთრებით პრიორიტეტულია, რაც მერიაში მოქმედი პროგრამით ხორციელდება.

ადგილობრივი ბიუჯეტის შესაძლებლობიდან გამომდინარე, ამ მიმართულებით თანხები ყოველწლიურად იზრდება და შესაბამისად მუხლების რაოდენობაც. გასულ წელს 32 მუხლი ფინანსდებოდა, წელს კი 33-ე მუხლი (ნეიროქირურგიული და ტრავმატოლოგიურ-ორთოპედიული ოპერაციები ხერხემალსა და კიდურებზე და ამ ოპერაციებთან დაკავშირებული საფიქსაციო საშუალებების ამოღება) დაემატა.

2021 წელს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეთა ჯანდაცვისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების დაფინანსება განისაზღვრა 995 000 ლარით.

მიმდინარე წლის სამ თვეში მოქალაქეთა ჯანდაცვაზე 431 873 ლარია გახარჯული. კერძოდ, ონკოლოგიურ დაავადებებსა და ოპერაციებზე 80 ბენეფიციარზე 42 079 ლარი, ნეიროქირურგიული და ტრავმატოლოგიურ-ორთოპედიული ოპერაციები ხერხემალსა და კიდურებზე და ამ ოპერაციებთან დაკავშირებული საფიქსაციო საშუალებების ამოღება 12 ბენეფიციარი 4 018 ლარი, სიმსივნით დაავადებულ პირთა კვლევები, მანიპულაციები და პროცედურები 18 ბენეფიციარი 4 801 ლარი, კომპიუტერული ტომოგრაფიის, ბირთვულ-მაგნიტურ-რეზონანსული (მრტ) კვლევის, კოლონოსკოპიის, სცინტიგრაფიის და კორონაროგრაფია, ანგიოგრაფია, ემბოლექტომია, ემბოლიზაცია, სისხლძარღვების სტენტირება, შუნტირება, სისხლძარღვების პლასტიკა ან/და რეზექცია, ლიგირებაზე 119 ბენეფიციარი 38 163 ლარი, დაავადებულ პირთა დახმარებასა და რეაბილიტაციაზე 308 ბენეფიციარი 130 225 ლარი, თირკმლის უკმარისობით (დიალიზი) დაავადებულ პაციენტების დახმარება და ტრანსპორტირება 121 ბენეფიციარი 46 800 ლარი და სხვა.

- მუნიციპალიტეტის მოქალაქეთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა ჩვენი მიზანი და ვალდებულებაა. ვცდილობთ, ფინანსურად მეტი საშუალება გამოვნახოთ და შესაბამისად მეტ ბენეფიციარს დავეხმაროთ.

გამოყოფილი თანხის ფარგლებში საჭიროებიდან გამომდინარე აღნიშნულ თანხას ვზრდით. ასე იყო გასულ წელსაც, 2020 წელს გამოყოფილ 800 800 ლარს 108 000 ლარი დაემატა ანუ სულ 908 800 ლარი, რომლითაც 2 417 მოქალაქემ ისარგებლა - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ.

**დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.**

მეხუთე დარი

რეპორტიორ - წელიწადიან „მეხუთე დარი“, ელოდებით თქვენს გამოხმაურებას. მობრძანდით რედაქციაში, გვგვანეთ თქვენი ნამუშევრები (წარმოადგინეთ ელექტრონული ვერსია) და გვანეთ ინნი ნამოგდოებს.

# ქვემო გომის საჯარო სკოლის მშენებლობა

გრძელდება სოფელ ქვემო გომის საჯარო სკოლის მშენებლობა. 150 მოსწავლისათვის სკოლა თანამედროვე სტანდარტებით შენდება და მიმდინარე წელს დასრულდება.

ამჟამად სკოლაში გარე და შიდა პერიმეტრის სამუშაოები მიმდინარეობს.

სკოლის მშენებლობას, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული ამხანაგობა "ემ-სიგრუპი ინდუსტრია" ახორციელებს.

სკოლის შენობის დეტალური პროექტის მომზადებისა და მის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების ღირებულება 2 360 000 ლარია.

- საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება საქართველოს ხელისუფლების ერთერთი მთავარი პრიორიტეტია. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, ყველა მოსწავლემ სრულფასოვანი განათლების შესაძლებლობა თანამედროვე კეთილმოწყობილ სკოლაში მიიღოს - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ.

# ფარნავაზის ქუჩაზე

კასპში ფარნავაზის ქუჩაზე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები გრძელდება. ამჟამად ქუჩაზე ბეტონი იგება.

ქუჩაზე უკვე მოეწყო სანიაღვრე ჭები, ბაზალტის ახალი ბორდიურები, შეიცვალა მიწისქვეშა კომუნიკაციები,საფეხმავლოზე დაიგო ასფალტის ფენა.

გზის რეაბილიტაციას უსფ "შეზღუდულიპასუხისმგებლობის ამხანაგობა მშენებლობა კასპიისპირეთის სამმართველო" ახორციელებს. ქუჩის რეაბილიტაციაზე 510 677 ლარი იხარჯება.

ამორტიზებული ქუჩის კეთილმოწყობა უზრუნველყოფს გადაადგილების პრობლემის მოხსნას.

# საბავშვო ბაღის რეკონსტრუქცია



სოფელ რენეში საბავშვო ბაღის რეკონსტრუქცია დაიწყო. არსებული საბავშვო ბაღის შენობის დემონტაჟის სამუშაოები უკვე დაიწყო. 30 წელია არსებული საბავშვო ბაღი არ ფუნქციონირებს და მშობლებს ბავშვები მეზობელი სოფლების საბავშვო ბაღებში დაყავთ.

კასპის მუნიციპალიტეტის კოდისწყაროს ადმინისტრაციულ ერთეულში 8 სოფელი შედის - მათგან 4 გამყოფი ხაზისპირაა, ხოლო 3 ადგილებიც.

- ჩვენი პრიორიტეტია მომავალი თაობის კომფორტულ და უსაფრთხო გარემოში აღზრდა. მიმდინარე წელს დასრულდება სოფელ იგოეთის, გრაკლის და სადგურ

კი მაღალმთიანი.

შენობის რეკონსტრუქციის შემდეგ, თანამედროვე სტანდარტებს დაქვემდებარებულ და აღჭურვილ საბავშვო ბაღში შესაძლებელი გახდება 50 ბავშვმა კომფორტულ გარემოში სკოლამდელი განათლება მიიღოს.

შენობა ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. ამასთან, შეიქმნება დამატებითი სამუშაო მეტეხის ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა, ასევე სოფელ ქვემო ჭალის საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ.

პროექტის სამუშაოების ღირებულება 684 112 ლარია და ხორციელდება რეგიონული განვითარების ფონდისა და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით.

# სახელოვნებო სკოლის რეაბილიტაცია

ქალაქ კასპში სახელოვნებო (სამუსიკო) სკოლის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები მალე დასრულდება.

შეცვლილია სასმელი წყლის და წყალარინების ქსელის გაყვანილობები, სახურავი, კარ-ფანჯრები, ჩატარდა ლესვითი სამუშაოები, ცენტრალური გათბობის მონტაჟი და გარეფასადის სამღებრო სამუშაოები.

შენობაში ამჟამად შიდა ინტერიერზე მუშაობენ. შენობის ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომი იქნება შშმ პირებისთვის (პანდუსი, სველი წერტილები).

სამშენებლო სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "აგრომშენსერვისი" ახორციელებს, რომლის ღირებულება 555 291 ლარია და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. სკოლაში დღეს 335 მოსწავლეს 18 პედაგოგი ემსახურება. ისინი სწავლობენ მუსიკას, ხელოვნებას და ხატვას.

ათეული წლებია სკოლას სრული რეაბილიტაციის სამუშაოები არ ჩატარებია. მუნიციპალიტეტის მერია ფინანსური შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობს მომავალ თაობას სწავლების სათანადო პირობები შეუქმნას.

ახალ სასწავლო წელს მოსწავლეები ახალი, კეთილმოწყობილი შენობითა და გაუმჯობესებული პირობებით შეხვდებიან - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ.

# მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკა

ახალგაზრდობის სააგენტო, "მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის" სარეფორმო მიმართულების ფარგლებში კასპის მუნიციპალიტეტს ეწვია. კასპი 30-ე მუნიციპალიტეტია, სადაც ადგილობრივი ახალგაზრდული სფეროს ეკოსისტემა შეიქმნება. რეფორმის ფარგლებში, სააგენტოსა და მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლობით ადგილზე „ახალგაზრდების გამოწვევების, საჭიროებების, ფორმატს, გაიდლაინს და შერჩეულ მუნიციპალიტეტებში დოკუმენტების შექმნის პროცესში ამ სტანდარტებით იხელმძღვანელებს.

მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის ორგანიზაციული გაძლიერების უზრუნველყოფს ადგილზე მდგრადი ახალგაზრდული სფეროს ეკოსისტემის შექმნას, ახალგაზრდების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფ-

რესურსებისა და ინტერესების კვლევა ჩატარდება, როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდოლოგიით.

აღნიშულ კვლევას დაეფუძნება ადგილზე ახალგაზრდული სტრატეგიის დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა.

მუნიციპალიტეტებში ხარისხიანი და ქმედითი ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მიზნით, სააგენტო შეიმუშავებს დოკუმენტების ხარისხის კრიტერიუმებს, სტანდარტებს, ფორმას,

პალური ახალგაზრდობის პოლიტიკის ორგანიზაციული გაძლიერების უზრუნველსაყოფად, სააგენტო პროგრამის მონაწილე მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის საკითხებზე პასუხისმგებელი 2 თანამშრომელს, საგანმანათლებლო, კვალიფიკაციის ასამაღლებელ ონლაინ პლატფორმაში ჩართავს, რომლის წარმატებით დასრულების შემდეგ მონაწილეები მიიღებენ "ახალგაზრდობის კოორდინატორის" სერტიფიკატს.

აღნიშნული პროცესი უზრუნველ-

ეროში და მათი პოტენციალის სრულად რეალიზებას.

შეხვედრას უძღვებოდა სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს ხელმძღვანელი რევაზ ჩარკვიანი, რომელსაც კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლეონიძე ესწრებოდნენ.

შეხვედრის შემდეგ ახალგაზრდობის სააგენტოსა და მუნიციპალიტეტის მერიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

# სამების ქუჩაზე

კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ კასპში, სამების ქუჩაზე ასფალტის საფარის დაგების სამუშაოები დაათვალიერა. სამების ქუჩასთან ერთად სარეაბილიტაციო სამუშაოები ლესელიძის, ჯორჯიაშვილის, მეტეხის და ქვათახევის ქუჩებსაც ჩაუტარდება. ხუთივე ქუჩა ერთმანეთის მიმდებარეა და ერთმანეთთან დაკავშირებული.

სამების ქუჩის სამუშაოების ღირებულება 88 975 ლარია, ხოლო ხუთივე ქუჩის ერთად - 969 980 ლარი.

პროექტი რეგიონული განვითარების ფონდისა და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება, რომელსაც შპს "საგზაო სამმართველო №1" ახორციელებს.

ხუთივე ქუჩა ამორტიზებულია, გადაადგილებისთვის პრობლემური და მოასფალტებულიც არასოდეს ყოფილა. მჭიდროდ დასახლებულ ქუჩებზე, ინდივიდუალური ბინების გარდა 3 ხუთსართულიანი კორპუსია განთავსებული.

ქუჩების რეაბილიტაცია მოსახლეობას გადაადგილების პირობებს გაუუმჯობესებს.

სამების ქუჩის მაცხოვრებლებმა მერთან საუბრისას კმაყოფილება გამოთქვეს.

# "ჩონგურს სიმები გავუმი"...

თაობის დრო და სათქმელი საკრალური ძაფებით არის დაგვირისტებული. ამ ცხოვრების ალგორითმაში გარკვევა ბევრისთვის გადაულახავი სამანია. ვინც იცის, რომ გულისკარნახით უნდა იცხოვროს, ადვილად პოულობს საქმესაც და სათქმელსაც. საზოგადოდ მხოლოდ ამ უკანასკნელთა მხრებზე გადადის სამშობლოს აწმყოც და მომავალიც.

დღევანდელი პუბლიკაციის გმირი გახლავთ კასპელი 25 წლის გიორგი ნიპარიშვილი – ქართული (და არა მარტო) მუსიკალური ინსტრუმენტების დამზადების თვითნასწავლი ოსტატი, ჯერაც ახალგაზრდა კაცი, ვინც ბავშვობისდროინდელი გატაცება გაიხადა ჰობად, მერე – პირველხელობად, ბოლოს კი ცხოვრებისეული საარსებო შემოსავლის საქმიანობად.

მას დამწყები მეწარმე აღარც ეთქმის, შემკვეთები საქართველოშიც ჰყავს და საზღვარგარეთაც. ის ორი საგრანტო კონკურსის რჩეულია, რომელთა ფინანსური მხარდაჭერით გააფართოვა პირადი ბიზნესგეგმები. სისტემატურად მონაწილეობს პროფილურ ფესტივალებსა და გამოფენებში. 2019 წლის ბოლოდან უცხოელი ვიზიტორებიც ისტუმრა.

პანდემიამ მისი საქმიანობა გარკვეულწილად დააზარალა. ვნახოთ, ახლო მომავალში როგორ წარიმართება ახალგაზრდის სახელოვნებო ცხოვრება.

მანამდე კი თვალი მივადევნოთ ცალკეულ მომენტებს, რომლებშიც ხალასი ნიჭიერებითა და მაძიებლური გონებით აღსავსე, თანამედროვე ტექნოლოგიური სიახლეების გამო გაიშვიათებული ხელობის კასპელი ახალგაზრდა მეწარმე წარმოგვიდგება.

*** დამკვეთები უცხოეთიდან და საქართველოდან**

გიორგის ახალ სახელოსნოში, რომელსაც მომავალში, ალბათ, უფრო გააფართოებს, რამდენჯერმე ესტუმრნენ პირველი ტურისტი-ვიზიტორები, ძირითადად, უცხოელები.

ისინი დიდი ინტერესით გაეცნენ საკრავების დამზადების ტექნოლოგიურ პროცესებს (დღეს, როგორც იტყვიან – "ლაივში").

მასპინძელმა ხელოვანმა, თავის მხრივ, მსურველებისათვის გამართა "მასტერკლასი". ამან ფრიად მოხიბლა წვეულნი.

ახალგაზრდა ხელოვანს შემკვეთები უკვე საზღვარგარეთიდან აკითხავენ. აი, მარტში, მასთან ქ. პარიზიდან ჩამოვიდა ფრანგი მუსიკოსი. მან, არ გაგიკვირდეთ და, გიორგისთან შესაკეთებლად ჩამოიტანა რამდენიმე საკრავი და, მისი საქმიანობით მოხიბლულმა, ახლების დამზადების დაკვეთაც მისცა. გიორგი მას შეკვეთილ პარტიას წლევანდელ ზაფხულში გადასცემს. იმ ფრანგს, თურმე, მეუღლე ქართველი ჰყავს და ისინი, ორივენი, თავიანთ სამშობლოში ქართული მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზატორები არიან. ასე რომ, კასპიდან წაღებული გიორგისეული ხელნაკეთობანი მათებურ კეთილსაქმეთა თანაზიარი გახდება.

(ჰო, რომ არა შარშანდლიდან ხელშემშლელი კორონავითარება, უცხოური კონტაქტები უფრო გაფართოვდებოდა. ამდენად, ოსტატი პანდემგამონათების მოლოდინის რეჟიმშია).

***

საქართველოში ვინ არ იცნობს ცნობილ მუსიკოს-შემსრულებელსა და საკრავების (სალამურის) დამზადების ოსტატს – ზაურ მერებაშვილს. წლევანდელი მარტის ბოლოს თბილისელი მაესტრო კასპში საგანგებო მისიით მოვიდა: "სამკურნალოდ" ჩამოუტანა ძველებური ქართული გარმონი.

ასეთი რამ ხშირად არ ხდება ჩვენში: კვალიფიციური მუსიკოსი სათანამშრომლოდ თავისი ფეხით მიდიოდეს დამწყებთან! ეს იმას ნიშნავს, რომ ძველნაცადი ოსტატი ახალბედას ენდობა და აფასებს!

სხვათა შორის, თბილისელმა სტუმარმა გიორგის სამყოფელი საოსტატო იმგვარი ინტერესით დაათვალიერა, როგორსაც იშვიათი ექსპონატებით თავმომწონე მუზეუმებში იჩენენ ხოლმე.

***საკუთარი დამღის მფლობელი**

გიორგი ნიპარიშვილის მარჯვენით დამზადებულ სხვადასხვა საკრავს დღეს კმაყოფილებით



იყენებენ ჩვენში ცნობილი და პოპულარული მუსიკალური კოლექტივები. ჟანრობრივად საშემსრულებლო ოსტატობით განსხვავებული რომელი ანსამბლი ჩამოვთვალოთ: "სუხიშვილები", "ერისიონი", "ბასიანი", "ჩქერალი", "ასიანი"...

ბევრს დააინტერესებს, თუ როგორია გიორგის სახელოვნებო არსენალში შემავალი მუსიკალური საკრავების ჩამონათვალი. ასეთია 2 ჯგუფი: სიმებიანი

1. ფანდური – კლასიკური და ხალხური. მათში ის განსხვავებაა, რომ "ხალხური" იგივე დიატონურია, რომელსაც არ გააჩნია ნახევარტონები. მისი სახეცვლილებაა "კლასიკური", რომელშიც ისინი დატანილია და ამის მეშვეობით კი შესაძლებელია როგორც ქართული, ასევე, უცხოური ნებისმიერი მელოდიის შესრულება. ამიტომაც სწორედ მათზეა მეტი მოთხოვნილება.

2. ბასფანდური (სიმებიანი), 3. ჩონგური, 4. კონტრაბასი, 5. ჭიანური (ჭუნირი), 6. დაირა, 7. რუსული ბალალაიკა, 8. ჩეჩნური ფანდარი (ფონდარი), 9. საზი.

ასევე, ჩასაბერი ინსტრუმენტები – 1. დუდუკი, 2. სალამური.

ემატება, აგრეთვე, დოლი, ქართული გარმონი (ბასგარმონი)...

უკვე 3 წელი შესრულდა, რაც გიორგი საკუთარ ნახელავს პირადი დამღით ამშვენისებს. ისიც თვითონვე მოხაზა და დაამაკეტა, მერე ბეჭდურად ამოტვიფრა. ამ, ე. წ. "ლოგოს", ოსტატი სათანადო ადგილებზე სვამს ისევე, როგორადაც ეს ხდება ქაღალდის დოკუმენტებზე ბეჭედდარტყმისას.

***საერთაშორისო და ადგილობრივი სანახაობების მონაწილე**

საქართველოს ტრადიციული

**დასასრული გვ-10.**

## ZRDA ACTIVITY IN GEORGIA

# ტექნიკური მოქმედების ლირი ცოცხალ-მის ტექნიკის გაუნვითარებისათვის

2019 წლის პირველ ნოემბერს პროექტმა "ზრდა საქართველოში" გამოაცხადა საგრანტო კონკურსი სამიზნე რეგიონებში მდებარე მუზეუმებისთვის.

საგრანტო პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეეძლო როგორც კერძო, ისე საჯარო მუზეუმებს.

პროექტი მიზნად ისახავდა ტექნიკური დახმარების გაწევას, ტურიზმის სექტორის განვითარების ხელშეწყობას, მომსახურე პერსონალის შრომისუნარიანობის გაზრდას, მუზეუმების ფუნქციონირებისა და მომსახურების გაუმჯობესებას, მეტი ვიზიტორის მოსაზიდად, შემოსავლების გამომუშავების მიზნით.

პროექტში მონაწილეობის აქტივობა შედგებოდა 3 ეტაპისგან:

პირველი ეტაპი მოიცავდა მომსახურების ხარვეზების იდენტიფიკაციაზე ორიენტირებული მოკლე კონცეპტუალური განცხადების წარდგენას.

აღნიშნული ეტაპის გავლის შემდეგ მუზეუმის ხელმძღვანელთან ერთად შეიქმნა სამუშაო ჯგუფი (გიორგი ჩადუნელი, ხატია ხორგუაშვილი, გვანცა კელაპტრიშვილი, თეა ბიჭიკაშვილი), რომელსაც მთელი პროექტის მიმდინარეობის პროცესში დახმარებას უწევდნენ უფროსი თაობის თანამშრომლები.

მორიგი ეტაპი მოიცავდა პროექტის მიერ უზრუნველყოფილი ტრენინგის გავლას, რის შემდეგაც თითოეულმა მონაწილემ გაიარა ტესტირება.

ტრენინგი ითვალისწინებდა საინფორმაციო პროცესის მიმოხილვას, თუ როგორ უნდა მომზადებულიყო ძლიერი საგრანტო განაცხადი.

გუნდის წევრებმა თავიდან განვიხილეთ საწყის ეტაპზე გადაგზავნილი აპლიკაცია. მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე დავსახეთ მუზეუმისათვის საჭირო პრიორიტეტები, რაც უზრუნველყოფდა მუზეუმის განვითარებას, ჩვენი ვიზიტორებისათვის სასურველი ინფორმაციის მიწოდებას სწრაფად და შეუფერხებლად.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმისათვის უმნიშვნელოვანეს სამიზნე ჯგუფებს უცხოელ ტურისტებთან ერთად წარმოადგენენ ადგილობრივი მოსწავლეახალგაზრდობა და სტუდენტები. ჩვენ ხშირად ვგეგმავთ ახალგაზრდა თაობასთან ერთად სხვადასხვა ღონისძიებებს, ამიტომ გადავწყვიტეთ მათთვის შეგვექმნა მოსახერხებელი გარემო, სადაც მიიღებდნენ კასპის რაიონის შესახებ საინტერესო, სახალისო და საჭირო ინფორმაციას.

ხსენებული გარემოს შესაქმნელად გადავწყვიტეთ შეგვეძინა შემდეგი ინვენტარი :

1. ფარდა-როლეტი,
2. პუფი,
3. ტრიბუნა,
4. კომპიუტერის მაგიდა,
5. ნოუთბუქი,
6. 2 ცალი კომპიუტერი სრული აღჭურვილობით და გაძლიერებული მეხსიერების ბარათით,
7. სკანერი ფოტო და ვიდეო ფირებისთვის,
8. ლაზერული შავ-თეთრი პრინტერი,
9. ფერადი პრინტერი,
10. პროექტორი საგანმანათლებლო და სხვა კულტურული აქტივობების განსახორციელებლად,
11. ფოტოაპარატი,
12. მონიტორი ექსპოზიციის გასამდიდრებლად და ელექტრონული ვერსიების წარმოსადგენად,
13. დიქტოფონი საველე მუშაობის პროცესში რესპონდენტების ჩასაწერად.

ინვენტარის შერჩევის შემდეგ შევისწავლეთ არსებული ბაზარი და გადავაგზავნეთ განაცხადის საბოლოო ვერსია დეტალებში გაწერილი ხარჯთაღრიცხვით.

ჩვენ მიერ გადაგზავნილი პროექტი განიხილა კომპეტენტურმა კომისიამ და დადებითად შეფასდა.

პროექტში გამარჯვების შემდეგ გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს დიდი მხარდაჭერა გამოუცხადა კასპის მუნიციპალიტეტის მერიამ და მონაწილეობა მიიღო თანადაფინანსებაში 3000 ლარით, რითიც შეძენილ იქნა ზემოთ ნახსენები ფარდა-როლეტი 3ც, პუფი 20ც, ტრიბუნა 2ც, კომპიუტერის მაგიდა 2ც. ხოლო დანარჩენი ტექნიკა (სერვერი იუპიესით 1ც, პროცესორი 2ც, უწყვეტი კვების ბლოკი 2ც, სკანერი 1ც, ლაზერული შავ-თეთრი პრინტერი 1ც, ფერადი პრინტერი 1ც, პროექტორის ეკრანი 1ც, ფოტოაპარატი 1ც, მონიტორი 1ც, გარე მეხსიერების ბარათი 2ც, ნოუთბუქი 1ც, ხმის ჩამწერი 1ც) შეგვიძინა.

პროექტის "ზრდა საქართველოში" დახარჯული თანხა სულ 27000 ლარს შეადგენდა.

საგრანტო კონკურსში გამარჯვებამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მუზეუმის თითოეულ თანამშრომელში. მოპოვებული წარმატება გახდა მასტიმულირებელი ახალი იდეებისა.

მიუხედავად პანდემიისა, მუზეუმი შეძლებისდაგვარად განაგრძობს მუშაობას და იმ ტექნიკის ათვისებას, რაც ამ პროექტის დახმარებით შევიძინეთ.

ჩვენი უმთავრესი მიზანია, უახლოეს მომავალში შეიქმნას მუზეუმის არქივისათვის ელექტრონული ბაზა, რაც უფრო გაამარტივებს სამუშაო პროცესს, ხელს შეუწყობს მომხმარებლისათვის ინფორმაციის სწრაფ და დროულ მიწოდებას.

ექსპოზიციის გასამდიდრებლად გვსურს მონიტორის საშუალებით ჩვენს დამთვალიერებლებს ვაჩვენოთ არქივში დაცული სხვადასხვა ექსპონატები სლაიდშოუს სახით.

პანდემიის მიუხედავად მუზეუმის გუნდი სამომავლოდ გეგმავს სხვადასხვა ღონისძიებებს, რომელთა ჩასატარებლადაც მუზეუმს უკვე მოეპოვება თანამედროვე ინვენტარი.

**კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანება.**

## ნუ ჩაგდებ სხვის სიცოცხლეს საფრთხეში, შეანელე სვლა!

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ საქადაგიანოში სიჩქარის შემზღუდველი ბარიერის დაყენება მიმდინარეობს. სამუშაოს აა(ი)პ "კასპის კეთილმოწყობა" ახორციელებს, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნის გათვალისწინებით ეწყობა.სიჩქარის შემზღუდველი ბარიერები ფართოდ გამოიყენება - სკოლებთან, ბაღებთან, საცხოვრებელ უბნებსა და სწორ გზებზე, სადაც მაღალი სიჩქარის განვითარების დიდი რისკია.

*რვიათნიგ ცვგვბეთთ ფოტომეფლვანიგ შეცვკქმნელოვლ. თხოვნით მივმეფრთვეთ თვნვრვიათნელოებგ - ფოტომეფლვანე*

*გვმოგვიგზავნეთ წინვპრეებიგ ცხოვრებიგ ვმცვბეელი ცვიმფერებგთ და ცვხვლიგთ ფოტოები! ერთად გვიხცენთ, როგორ ვცხოვრობდით ...*

# ჯვთოხიევში, ოიქოთ შეჯიბრებზე

(წერილი მეოთხე) იბეჭდება შემოკლებით

კოპიტივით სწავდა ივლისს ზეცის ღუმელი და დილიდანვე ხვატი ჩაწვა პატარა ქალაქის ქუჩებში.

კასპის ცემენტის ქარხნის ახლოს მდებარე, რაიონული გაზეთის რედაქციის ვიწრო ოთახში თათბირი მიმდინარეობდა. რედაქტორი, პოეტი და დრამატურგი გურამ კლდიაშვილი, მორიგი გაზეთის მაკეტს დასცქეროდა და დავალებებს აძლევდა თანამშრომლებს: ზოგს ქსილისის მთაზე გზავნიდა, საზაფხულო სამოვრებზე მყოფ მეცხოველეებთან, ვისალოობის მიმდინარეობა უნდა გაეშუქებინა და კომბაინებთან შეხვედრა ელოდა....

- ცემენტის მტვერი არ გვაკლდა, რომ ეს გაუსაძლისი სიცხე არ დაგვმატებოდა? - უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა რედაქტორმა და შუბლზე ოფლი შეიმშრალა. ამ დროს კარი გაიღო და კასპის მუზეუმის დირექტორი, მწერალი გიორგი ხორგუაშვილი შემოვიდა:

- მგონი, თათბირზე შემოვედი და ხელი შეგიშალეთ, - მისალმებისთანავე თქვა გიორგიმ და მონუსხულივით გაჩერდა კარებში.

- თათბირი არა, მაგრამ არც უმაგისობაა, ახალი ნომრის მაკეტს ვიხილავთ, - გურამი ფეხზე წამოუდგა მწერალს,- თუ რაიმე მასალა მოგვიტანე, ახლავე გავაგზავნით სტამბაში, - უთხრა და სკამი შესთავაზა.

გიორგიმ საქაღალდე გახსნა, რემენგტონზე დაბეჭდილი წერილი ამოიღო და ის იყო გურამს გადასცა, რომ ტელეფონი აწკრიალდა:

- გისმენთ! - ყურმილი აიღო რედაქტორმა - თათბირი გვაქვს, ოთარ, არ მითხრა, რაიკომში გეძახიანო... რაო? ... აგერ არის ჩემთან გიორგი ხორგუაშვილი და ვეტყვი, - გვესმოდა გურამის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ლაპარაკი. მივხვდით, რომ რეკავდა კომკავშირის რაიკომის მაშინდელი პირველი მდივანი, ოთარ ჭონიაშვილი.

გურამმა ყურმილი დადო და ოთარ ჭონიაშვილის საუბრის შინაარსი გადმოგვცა, რომ რაიონის ახალგაზრდებს უნდოდათ მოეწვიათ ჟურნალ "ცისკრის" რედაქცია და ახალგაზრდა მწერალთა ჯგუფი, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ მაშინდელ ახალგაზრდა თაობაში, მათთან მოლაპარაკებას კი ოთარი გურამ კლდიაშვილსა და გიორგი ხორგუაშვილს სთხოვდა, რომლებიც ასევე ავტორიტეტით სარგებლობდნენ საზოგადოებაში და თავიანთ სიტყვას ამბობდნენ ქართულ მწერლობაში.

თხოვნა მათ მეორე დღესვე შეასრულეს. "ცისკარს" მაშინ (1966 წელია, ნ.ე.) მწერალი ხუტა ბერულავა ხელმძღვანელობდა და მიწვევაზე დასტურიც მან მისცა.

სამზადისიც დაიწყო. კასპის ცემენტის ქარხნის კულტურის სახლს ცნობილი მუსიკოს-შემსრულებელი, ხალხური საკრავების დიდოსტატი, ომარ კელაპტრიშვილი თავკაცობდა. ყველაფერი ერთობლივად გაკეთდა, რომ ქართველ მწერლებთან შეხვედრა არნახული ორგანიზებულობით გამორჩეული ყოფილიყო. საღამოს კი, სტუმარ-მასპინძლობის რიტუალი ქვათახევში იყო დაგეგმილი და მანქანების კოლონაც ამ დიდებული სავანისაკენ დაიძრა.

ბინდი წვებოდა მტკვრის ხეობაში, როცა კოლონა კასპიდან გავიდა. უკან მოვიტოვეთ კავთისხევი, თელადგორის მინდვრები და ბაღები, წინარეხისკენ გადავუხვიეთ და ტყიან ფერდობს შევუყევით, ქვათახევამდე 5 კილომეტრი გვაშორებდა.

კოლონამ მალე მოიტოვა ქვაღორღიანი შარა და ქვათახევის მონასტრის ეზოში გაჩერდა, მანქანებიდან გადმოვიდნენ ცნობილი ქართველი მწერლები: კარლო კალაძე, ხუტა ბერულავა, იორამ ქემერტელიძე, ანზორ აბულაშვილი, გივი ალხაზიშვილი, უშანგი ბედია და სხვები, მასპინძელთა შორის კი იყვნენ კასპში მოღვაწე მწერლები: გიორგი ხორგუაშვილი, გურამ კლდიაშვილი, ელგუჯა მერაბიშვილი, "განთიადის" სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ირაკლი სოზიაშვილი, ლიტერატურული თანამშრომელი ზაირა სხირტლაძე, ახალგაზრდები, რომლებიც ადრე ამოსულიყვნენ და პურ-მარილის თადარიგს იჭერდნენ, მათ შორის გახლდით მეც (ამ სტრიქონების ავტორი).

ტაძარში გიორგი ხორგუაშვილი შეგვიძღვა და ექსკურსიამძღოლის მოვალეობაც უნებურად შეითავსა:

- ჩვენ ახლა ვიმყოფებით ქვაბთახევის მთავარ ტაძარში, რომელიც ხუროთმოძღვრული მორთულობით ახლოს დგას ბეთანიის ტაძართან. იგი ბევრის მომსწრე და მნახველია, მარტო ის რად ღირს, რომ აქ, გიორგი სააკაძის დაზე ჯვარი დაიწერა ქართლის მეფე ლუარსაბ მეორემ.

თავდაპირველად იგი დედათა მონასტერი ყოფილა, ძველი ქართული მწიგნობრობითაც გაუთქვამს სახელი, აქ მოღვაწეობდნენ ისეთი მწერლები და კალიგრაფები, როგორებიც იყვნენ ფილიპე ბარათაშვილი, იოანე ავალიშვილი, იოანე ხელაშვილი, დოსითეოზ ფიცხელაური, ტარასი ალექსი-მესხიშვილი და სხვები, ჩვენამდე მოაღწია ამ ბიბლიოთეკის რამდენიმე ხელნაწერმა....

- ეს რისი კვალია, გიორგი, - სიტყვა გააწყვეტინა კარლო კალაძემ ხორგუაშვილს და იატაკზე დამჩნეულ წითელ ლაქებს დააცქერდა.

- ეს იმ ტრაგიკული წლების ანაბეჭდია, მე-14 საუკუნეში საქართველოს რომ დაატყდა თავს. 1486 წელს თემურ-ლენგის ლაშქრობის დროს, ქვაბთახევი აიკლეს და გაძარცვეს, ამ დროს მონასტერს თავს აფარებდნენ მონაზვნები და ახლომახლო სოფლების მცხოვრებლები.

დარბევის დროს, თემურ ლენგის მოლაშქრეებმა მათ ქრისტიანობის უარყოფა მოსთხოვეს, ხოლო როცა უარი მიიღეს, ყველა ერთად გამოკეტეს და ტაძარს ცეცხლი წაუკიდეს... სისხლით გაჯერებული მიწა დიდხანს იწვოდა, ცეცხლის ალი ზეცას სწვდებოდა და ნაკვერჩხლები ცვიოდა თურმე. იატაკზე მათი დამწვარი სხეულების კვალია აღბეჭდილი, რაც საუკუნეებმა დღემდე შემოგვინახეს.

გარეთ უკუნი იწვა, ბიჭებს კოცონი დაენთოთ და ფარნების შუქზე ჯირკებს ეზიდებოდნენ, სუფრა მწვანე ბალახზე გავშალეთ და ტაძრიდან გამოსული მწერლები, მასპინძლებთან ერთად მოვიწვიეთ, გამორჩეულ ადგილზე, გადაჭრილ ხის მორზე, მხცოვანი პოეტი, ბატონი კარლო კალაძე დავსვით და თამადობა შევთავაზეთ.

- რატომ მე, აქ არ არის გიორგი ხორგუაშვილი?! ჯერ ერთი, მასპინძელია, მერეა და, ჩინებული მწერალი, უბადლო ქართლური მორაკრაკებს მაგის ნაწარმოებებიდან,.. აგერ, კიდევ, გურამ კლდიაშვილი, კარგი პოეტი, რედაქტორი, თამადობაში, იუმორსა და სიმღერაში ტოლს არავის უდებს.

- თქვენს თამადობასთან ვერ მოვალ, ბატონო კარლო, გთხოვთ, უარი არ გვითხრათ,- გაულიმა გურამმა.

- რაკი ასეა, გნებდებით, - ესიამოვნა პატიჟი პოეტს.

და, მანაც დაიწყო და რა დაიწყო... გაოგნებულები შევყურებდით მის ენამჭევრობას, გამოუ-ლეველ სადღეგრძელოებსა და იუმორს, შიგადაშიგ ლექსებით თავმომწონეობას.

- ლექსი, პოეტებო, - შეგვახსენა ბატონმა გიორგი ხორგუაშვილმა და ერთმანეთის მიყოლებით წამოდგნენ ფეხზე პოეტები, ბატონები ხუტა ბერულავა, იორამ ქემერტელიძე, გივი ალხაზიშვილი, თემურ აბულაშვილი, უშანგი ბედია, თავად გიორგი ხორგუაშვილი, ელგუჯა მერაბიშვილი, რომლებმაც საკუთარი ლექსები ისე წაიკითხეს, თითქოს სცენაზე ყოფილიყვნენ.

- კარგი პროზაიკოსები რომ ხართ, ვიცი, წამიკითხავს თქვენი ნაწარმოებები, მაგრამ ლექსებსაც თუ წერდით, არ მეგონა, - მიმართა კარლო კალაძემ გიორგი ხორგუაშვილს და ელგუჯა მერაბიშვილს.

- ჩვენც გვინთია გულში ლექსის ხანძარი, ბატონო კარლო, - იცინის გოგი, - აი, გურამ კლდიაშვილი რად არის ჩუმად, არ ვიცი!

- გურამი პოეტიც დიდებულია და იუმორისტიც, ამასთან, დრამატურგიც, - სიტყვა ჩამოართვა გოგის ხუტა ბერულავამ.

- მერე, როგორ პილპილმოყრილი, იუმორისტული ლექსები იბეჭდება ჟურნალ "ნიანგში!", - გამოეპასუხა ხუტას იორამ ქემერტელიძე.

- ჰოდა, ვუსმენთ, - ბრძანა კარლო კალაძემ.

ბატონი გურამ კლდიაშვილი არაჩვეულებრივი დეკლამატორია (და მომღერალიც). იგი ფეხზე დგება, მაგრამ კარლო ანიშნებს, არ ადგეო, და გურამიც იწყებს:

ისე ცოტა მიწა გვაქვს, საყვავილედ არ გვყოფნის,

ისე ცოტა ზეცა გვაქვს, საფრენადაც არ გვყოფნის,

ისე ცოტა ვაზი გვაქვს, საჭაშნიკოდ არ გვყოფნის,

ისე ცოტა წყალი გვაქვს, დასახრჩობად არ გვყოფნის...

არა! ჩემო მიწაო, დედასავით მართალო!

არა! ჩემო ზეცაო, რწმენასავით მაღალო!

განა მართლა ცოტა გვაქვს ან მიწა და ან ზეცა,

ჩვენს მისახედ-მოსახედს თვალითაც ვერ დაკეცავ...

ღმერთო ჩემო, გურამი ისეთი ემოციით კითხულობდა ლექსს, რომ მსგავსი დეკლამაცია, მისგან არც მანამდე მსმენოდა და არც მას შემდეგ, თითქოს მარტო იყო ამ უკიდეგანო სამყაროში და ხელებაპყრობილი ევედრებოდა სამშობლოს: თუ რამ წყენა მიგვიძღვის, დაგვიბრუნე ალერსად, ცოტა ლაქა მზესაც აქვს, ცოტა ჩრდილი მთვარესაც...

ჩაათავა ბოლომდე კლდიაშვილმა თავისი ლექსი "ჩემო მიწავ!" და წამიერად სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა, მერე კი, კარლო კალაძე ადგა, გურამთან მივიდა, გადაეხვია და მადლობა გადაუხადა. ეს ჟესტი სუფრაზე ყველამ გაითავისა და უცბად კომპლიმენტების ნიაღვარი დაიძრა,..

სხვა შნო და ლაზათი აქვს მწერლის ქათინაურს თანამოკალმის მიმართ, როცა გულწრფელია.

სწორედ ეს ვიხილეთ ქვათახევში, ლექსთა შეჯიბრებაზე...

ლექსი - "ჩემო მიწავ!" რომლის ნაწყვეტები წარმოგიდგინეთ, კლდიაშვილმა ბოლომდე წაიკითხა და ... ჩამოწოლილ ბინდში ანთებული კელაპტრებით მონასტრის ეზოში შემოვიდნენ ნაბადმოსხმული ძმები კელაპტრიშვილები, რომლებიც წინ მოუძღოდნენ კავთისხეველ და წინარეხელ რჩეულ ახალგაზრდებს და რევაზ ლაღიძის "მგზავრულით" სუფრას მოუახლოვდნენ.

მათი შემოსვლა ძალიან ჰგავდა ზღაპრულ გამონათებას...

სალამურის არაჩვეულებრივი ჰანგები ქვათახევის მონასტერს გადაევლო, გაიშალა, გაიფანტა და ზეცამდე აიტანა ომარ კელაპტრიშვილის მიერ ვირტუოზულად შესრულებული ალიაბიევის "ბულბულის" განუმეორებელი ხიბლი. მას რუმინელი კომპოზიტორის ენესკუს "ტოროლა" მოჰყვა....

ომარი ისეთი აღტაცებით ასრულებდა თავისი რეპერტუარიდან პოპურს, ნაწყვეტებს ფალიაშვილის "დაისიდან" და ბიზეს ოპერა "კარმენიდან", მოცარტის რონდოს, ჩაიკოვსკის "ნეაპოლიტანურ სიმღერას," ანდრია ყარაშვილის "სამშობლოს" და სხვებს, რომ თითქოს რომელიმე ქვეყნის დიდ საკონცერტო დარბაზში იყო სცენაზე, და არა ქვათახევის ღამეულ სიმყუდროვეში...

მუსიკას ლექსი სცვლიდა, პოეზიის ტრფიალშიც თავი გამოიჩინეს ძმებმა, ომარმა საკუთარი ლექსიც წაიკითხა და დაგვიმტკიცა, რომ კარგი პოეტიც იყო...

დეკლამაციითა და საკუთარი ლექსებით გაგვაოცა გერისო კელაპტრიშვილმაც.

ქვათახევში მტრედისფერი შემოცურდა, ირიჟრაჟა...

სიტყვა მოკრძალებით ვითხოვე. უარს ვინ მეტყოდა, ვდგები და ძმების აკომპანიმენტის თანხლებით, ვკითხულობ გოგლა ლეონიძის უბერებელ ლექსს „მაშ, რა ვუყოთ, პოეტებო," რომელსაც ვამთავრებ პერიფრაზით: მაშ, რა ვუყოთ, პოეტებო ქვათახევის დილას. და ამას ვკითხულობდი იმ დროს, როცა ამ დიდებული ლექსის ავტორი, ქართული პოეზიის ბერმუხა გიორგი ლეონიძე წყნეთში სიკვდილს ებრძოდა და პატარძეულის

**გაგრძელება გვ-10.**

# ასპის მუნიციპალიტეტის 3 სოფელში საბავშვო ბაგა-ბაღები შენდება

ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლებში ამჟამად მოქმედი სკოლამდელი დაწესებულებების რაოდენობა წლევანდელი შემოდგომის დამდეგისათვის უფრო მოიმატებს. ასეა, სადღეისოდ თუ 25 დიდ-პატარა სოფელში გვაქვს ბაგა-ბაღები, რამდენიმე თვეში ისინი გაიხსნება სხვაგანაც – იგოეთსა და გრაკალში, ასევე, სარკინიგზო სადგურ "მეტეხის" დასახლებაში.

როგორ არა, ათეული წლების წინ ერთგანაც იყო, მეორეგანაც და მესამეგანაც, მაგრამ საუკუნეთა სამიჯნე პერიოდის ცხოვრებისეულმა კატაკლიზმებმა ისინიც შეიწირა და გაანადგურა. მაგალითად, სადგურ მეტეხში უწინდელი ბაღი მთელი საქართველოს მასშტაბით მიიჩნეოდა სანიმუშო და საჩვენებელ საბავშვო დაწესებულებად, გაწყობილი იყო უიშვიათესი პარკეტით, ძვირფასი დგამ-ავეჯით, დაკომპლექტებული იყო კვალიფიციური და გამოცდილი სასწავლო-პედკოლექტივით... ახლა, ახალი ბაღის მშენებლობის დასრულებამდე, აქაური 200-მდე ოჯახის ბავშვები (სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების ჯგუფი) სპეციალურად გამოყოფილი ტრანსპორტით გადაადგილდებიან და ქ. კასპის №1 საბავშვო ბაღში არიან შეფარებული. ეს კი, ცხადია, დამატებით საფინანსო ხარჯებს მოითხოვს.

სამივე სოფელში წარმოებული პროექტები კასპის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ფინანსდება. აქედან გამომდინარე, ისინი პრიორიტეტული საჭიროების მხარდაჭერით სარგებლობენ. ამიტომაც სამშენებლო სამუშაოთა მიმდინარეობას ადგილებზე სისტემატურად ეცნობიან შიდა ქართლის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული თუ მისი მოადგილეები, ასევე, კასპის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის თავკაცები და შესაბამისი ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენლები.

იმის თაობაზე, აპრილის განმავლობაში (პირველ და მეორე დეკადაში) თუ როგორ მიმდინარეობდა სამშენებლო-მოპირკეთების სამუშაოები სოფელ იგოეთსა და სადგურ მეტეხში, მოთხრობილი იქნება ქვემოთ შემოთავაზებულ საგაზეთო პუბლიკაციაში.

# სოფელ იგოეთში

იქ, იმ ადგილზე, სადაც კასპიდან მიმავალი საავტომობილო გზა სოფლის ცენტრში სანამ ახალ ავტობანს შეუერთდებოდეს, ხელმარცხნივ ჩასახვევთან (თბილისიდან მომავალი მგზავრისათვის – მარჯვნივ) მშენებლები პირველად გამოჩნდნენ 2020 წლის თებერვალში და სოფლის სამედიცინო-საექიმო ამბულატორიის, ასევე, ახალი მცირე ნაგებობის მიმდებარე ტერიტორია სამშენებლო მოედნისათვის მოამზადეს – მოასწორეს და მოასუფთავეს ნიადაგი, გაამაგრეს ფუნდამენტი და გაჭრეს საძირკველი.

იქვე საინფორმაციო ბანერიც გაჩნდა იმის მაუწყებლად, რომ მშენებლობა მოიცავდა 2020-21 წლების გარდამავალ პერიოდს და მას წარმართავდა სატენდერო კონკურსში გამარჯვებული შპს "ხარისხი" (დირექტორი – ირაკლი თავართქილაძე), მითითებული იყო დაწყება-დამთავრების ვადები და საერთო ფულადი ღირებულება. 696.326 ლარი – აი, თანხა, რაც მუნიციპალური ბიუჯეტიდან არის გათვალისწინებული სოფლის საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობისათვის. მშენებლობის პროცესში ყოველდღიურად, საჭიროების მიხედვით, 10-დან 15-მდე მუშამოსამსახურეა დასაქმებული.

მარჯვენას უქებენ და ნახელავს უწონებენ მეკაფელე მამუკა გაბრუშიძეს, ელექტროშემდუღებელ ზურაბ ანთაძეს (იგი აღბეჭდილია ფოტოზე). ყველა საკვანძო ლოკაციაზე შეუცვლელია დამხმარე მუშა ავთანდილ ქედელიძე. "წყალი არ გაუვაო", – რომ იტყვიან, სწორედ ამდაგვარ შეფასებას იმსახურებენ რამაზ დუმბაძე და ედუარდ თავართქილაძე – შენობის თუნუქიანი სახურავის გამწყობი ხელოსანოსტატები – უზადო ნამუშევრის გამო. დიახ, ეს შრომითი კოლექტივი ორიენტირებულია შესრულებულ სამუშაოთა მაღალეფექტიანობაზე და საამისო ორიენტირი მითითებულია თვით სახელდების განსაზღვრებად – "ხარისხი". მისი უმეტესი მუშა-წევრი შავიზღვისპირელია (ბათუმიდან), მაგრამ ირაკლი თავართქილაძის ბიჭებს იგოეთში გამოჩენამდე სადაც კი უმუშავიათ (ქ. დუშეთისა თუ დაბა ჩაქვის საჯარო სკოლების აგებაზე), ყველგან ასაქმებენ ადგილობრივ დამხმარე ძალასაც, ახლა მათთან ასეთია კასპელი 2 ელექტრიკოსი – თამაზ უჩმაზოვი და ბესიკ როსებაშვილი. ისინი უკვე აპრილის დასაწყისში გავიდნენ მშენებლობის ფინიშზე – შესასრულებელი რჩება: შენობაში – მოსაპირკეთებელი სამუშაოს ნაწილი, ეზოში – ლითონის ღობის შემოვლება და კეთილმოწყობა, ხოლო პატარებისათვის – გასართობ-სათამაშო ატრაქციონების დამონტაჟება. 2021 წლის სექტემბრიდან იგოეთელ 50-მდე პატარა გოგო-ბიჭს ახალი ბაღი ფართოდ გაუღებს გულისკარს. რაც მთავარია, არა მარტო მათთვის, არამედ სტანდარტების შესაბამისი მოთხოვნების სრული პაკეტური პირობები შეექმნება აქ დასაქმებულ მეორე მხარესაც – პედაგოგ-აღმზრდელებსა და მოსამსახურე პერსონალს.

# სადგურ მეტეხში

სამშენებლო-სარემონტო ორგანიზაციის (შპს "ბამა") თავკაცი ტარიელ თავაძე, შეიძლება ითქვას, რომ მეტეხელი კაცია. იგი აქ 1986 წელს მოვიდა და მაშინდელ კერამიკული აგურის ქარხანაში ახალგაზრდა ინჟინერი დასაქმდა მექანიკოსად, შემდეგ – საამქროს უფროსად, მთლიანი წარმოების უფროსად. მას შემდეგ აქვე ცხოვრობს ოჯახთან ერთად და აქაურთა ინტერესებით სულდგმულობს. დასახლებაში მისი აქტიური გარჯილობით არის მოწყობილ-გაყვანილი საკანალიზაციო ქსელი, რამდენიმე ორსართულიან საცხოვრებელ კორპუსზე განახლებულია სახურავები...

აი, 2021 წლის ივლისში, როცა მისეული "ბამა" (დასახელება შვილიშვილი გოგონების სახელების საწყისი ასოებით შეადგინა) პატარა მეტეხელებისა და მათი მშობლების გულგასახარად საზეიმო ვითარებაში ჩააბარებს გაპიწკინებულ, შიგნით-გარედან მშვენიერ ორსართულიან შენობას, თვითონ მასაც შეუსრულდება სიმბოლური იუბილე – გამეტეხელების 35 წლისთავი.

თვითონ ხომ აქაურია და, თქმა აღარ უნდა იმას, რომ კოლექტივშიც მეტეხელები არიან. ასე რომ, რამდენიმე მამა თუ პაპა მეტეხში საბავშვო ბაგა-ბაღს აშენებს საკუთარი შვილისა თუ შვილიშვილისათვის. ახლა სწორედ მათ ვინაობას გაგაცნობთ, ვისი გვარებიც ტარიელ თავაძემ მოგვაწოდა: მლესავთა ბრიგადის წევრები – მამუკა ცეცხლაძე, დათო ცეცხლაძე, გელა ცეცხლაძე... მათ გარდა, ხელსაქმეში მართლაც "ცეცხლი უნთიათ": ლადო ბოლქვაძეს, გოჩა ტატანაშვილს, დათა კორკოტაშვილს, სულიკო ზოზრაშვილს. ასევე, მინდობილ უბანზე ოსტატობენ ელექტრიკოსები ზურაბ ზუბიაშვილი, ნუკრი ქურასბედიანი.

მშენებლობის თავკაცი, ცხადია, პირველი გულშემატკივარია მთელი სამშენებლო პროცესისა.

საწყის ეტაპზე, 2020 წლის მარტში, ძველი სკოლის ნანგრევებით მოფენილი ტერიტორიიდან გაიტანეს ასობით კუბური მეტრი ნაგავი და, პირველ რიგში, სამშენებლო პოლიგონი შემოფარგლეს ლითონის ღობით..

შეძლების კვალობაზე, სრულ ტერიტორიაზე შეინარჩუნეს ასაკოვანი მწვანე ხეები – ფიჭვი და "მტირალა ტირიფი". მათ ჩრდილს მიემატება ახალი ღობის გასწვრივ (არსებული სკოლის გადმოსწვრივ გზის პირზე) დასარგავი მარადმწვანე ნარგავებისაც, რაც, თურმე, პროექტით გათვალისწინებული არაა, მაგრამ მშენებელთა მხრიდან საქმნელ კეთილ საქმეს წინ ვინ დაუდგება!..

## ჩვენი იუბილარები

# ქრისტეფორე ნინიაშვილი — 100!



* მამისა და სხვათა ხელდასმული:

2021 წლის 15 აპრილს შესრულდა სრული საუკუნე "ჩოხიანი ჭიდაობის ბერმუხის" დაბადებიდან, როგორც ქრისტეფორე ნინიაშვილს შეარქვეს უდიდესი პირადი ღვაწლის დაფასების დასტურად.

იგი დაიბადა და გაიზარდა ქართლელი აზნაურის, სულიერი სიმდიდრით აღსავსე ინტელიგენტი მამის ოჯახში, რამაც განაპირობა მემკვიდრის პიროვნული და ზოგადი განსწავლულობა, ცხოვრებისეული არისტოკრატობა, მამაკაცურად დახვეწილი ყოფაქცევა და საერთო წესრიგიანობა, თანაც, ყველა სფეროში, საქმიანობის ნებისმიერ დონეზე, შინ თუ გარეთ...

თვითონ ივანე ნინიაშვილი — ძველდროებაში სახელაღიარებული მოჭიდავე სოფელ ხოვლიდან (კასპის რაიონის ისტორიული სოფელია) — სპორტულ-გამაჯანსაღებელი შინაგანი სულისკვეთებითა და საერთო-სახალხო მიდგომის თვალსაზრისით კი წმინდა წყლის ე. წ. "სპარტანული მეთოდებით" უდგებოდა ვაჟიშვილების: ონოფრეს (ძმებში უფროსი, დაიღუპა 1942 წელს ქერჩში), ამირანის (ძალიან ძლიერი და მოხდენილი, ტანადი და ლამაზი მოჭიდავე, ავადმყოფობის გამო ნაადრევად გარდაიცვალა), ქრისტეფორესა (მასზე ქვემოთ) და ნიკოლოზის (დიდ ძმაზე არანაკლებად ცნობილი მოჭიდავე, მსაჯი და მწვრთნელი) დავაჟკაცებასა და აღზრდას.

ძმები ნინიაშვილების დაოსტატებას ხოვლელმა ნაცადმა მოჭიდავემ ნიკოლოზ (კულა) იანვარაშვილმაც დასდო აუწონავი ღვაწლი.

თბილისის ძველი ცირკის არენაზე ქრისტეფორე ნინიაშვილის ვაჟკაცურ შემართებას პირველად 1944 წელს, ანუ, 23 წლის ასაკში, კეთილად დაადგა თვალი იმჟამად უკვე ცნობილმა მწვრთნელმა აკაკი ადეიშვილმა. მის შემდეგ ილო თომაშვილს (სვანელს) დაემოწაფა.

ეს ხდება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საიდანაც ქრისტეფორე ნინიაშვილი, განგების ნებით, ცოცხალი მობრუნდა, და განგებისმიერი ძალითვე დავალდებულებული, რომ ქართულ სპორტში კეთილშობილური დიდსაქმენის მთები დაედგა.

* ამაგი და ღვაწლი — მაღალი ნიშა ერთი კაცის კვალობაზე:

ქართული სპორტის ღვაწლმოსილმა მსახურმა — ქრისტეფორე ნინიაშვილმა — ათწლეულების მანძილზე მუხლჩაუხრელობით აღზარდა და დიდი ჭიდაობისკენ გზა დაულოცა:

რიგმრავალ არმიას სპორტსმენებისა — ანზორ კიკნაძე, ოთარ შინჯიკაშვილი, შოთა დაუშვილი, ლავრენტი კაციაშვილი, დურმიშხან ბერუაშვილი, თენგიზ ელერდაშვილი, ზაქრო მუხიაშვილი, ანზორ ზურაბაული, გ. სიმონიშვილი, ა. ქველაძე, ძმები პეტრიაშვილები...

სამწვრთნელო ცენტრებსა და სკოლებში საქმიანობისათვის საქართველოს მასშტაბით გზა გაუხსნა გამოზრდილ მწვრთნელთა პლეადას — ბიძინა მაზიაშვილის, გურამ პაპიტაშვილის, ომარ მერაბიშვილის, შოთა ზუკაკიშვილის, ანზორ ზურაბაულის, გმირო ხაჩიძის, საკუთარი ძმის აკაკი ნინიაშვილისა და სხვათა სახით.

* სატიტულო მონაგარის პედესტალი სპორტულ კარიერაში:

— საქართველოს 4-გზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში (1944, 1945, 1947, 1949 წლები).

— საბჭოთა კავშირის 2-გზის ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში: 1948 (ქ. მოსკოვი), 1949 (ქ. ლენინგრადი); ერთგზის მეორე პრიზიორი — 1950 (ქ. ყაზანი), 2-გზის მესამე პრიზიორი — 1947 (ქ. მოსკოვი) და 1952 (ქ. დონის-როსტოვი, ყველა რუსეთი).

— საქართველოს სამბისტთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი 23 წლის განმავლობაში (1950–1973).

— ჭიდაობა სამბოში: საქართველოსა (1962) და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი (იმავე წლიდან).

— ჭიდაობა ძიუდოში: საქართველოსა (1964) და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი (იმავე წლიდან).

— საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე (წოდება მიენიჭა 1973-ში).

— რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი თავისუფალ ჭიდაობასა (1951) და სამბოში (1973).

— საქართველოს ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება "დინამოს" მთავარი მწვრთნელი ძიუდოსა და სამბოში (ათწლეულების მანძილზე), საპატიო დინამოელი (შინაგანი ჯარების მაიორი).

* ბეჭდური პერიოდიკის გმირი და... წიგნების ავტორი:

ქრისტეფორე ნინიაშვილი არის უამრავი საგაზეთო და საჟურნალო პუბლიკაციის გმირი, არაერთი ტელე და რადიოსიუჟეტის ადრესატი.

მისი ავტორობით დაიწერა და დაიბეჭდა წიგნები: "ქართული ჭიდაობის მეთოდური სახელმძღვანელო" და "ქართული ჭიდაობა" (ეს უკანასკნელი გამოიცა 1997 წელს).

... 2014 წლის 11 თებერვალს გარდაიცვალა 92 წლისა.

## ვეტერანები სამზეოდან ჩუმად მიდიან

# ვანო ბერიანიძე

ვანო ბერიანიძე (21.04.1956 — 27.11.2020)

ამ დღეებში დაბადებიდან 65-წლისთავი უნდა შესრულებოდა ივანე (ვანო) ბერიანიძეს — კასპელ ვეტერან ფეხბურთელს.

... 1970 წლიდან ადგილობრივი სპორტსკოლის გუნდში, რომელსაც ავთანდილ ჯალალი ავარჯიშებდა, ერთბაშად გამოჩნდა "56–57-იანების" თაობის იმედისმომცემი მოთამაშე. მათ შორის იყვნენ მერაბ მაღლაფერიძე, გია გოგოლაძე, სოსო წინამძღვრიშვილი და სხვები, მათთან ერთად იყო ვანოც. მალე ყველანი აღმოჩნდნენ კასპის "დიდების" გუნდში — "განთიადში", რომელიც საქართველოს ზონალურ პირველობაზე გამოდიოდა (ერთხანობას "მეცემენტის" სახელითაც). აი, იმხანად ვანო გუნდის ჯერ შემცვლელი და მერე ძირითადი მეკარე გახდა ...



აქტიურ ფეხბურთელობას ვანო დიდხანს ვერ გაყვა, სამსახურებრივი მაღალი პასუხისმგებლობისა და, აქედან გამომდინარე, მოუცლელობის გამო თავი დაანება, თუმცა ბურთის სიყვარული არასოდეს განელებია.

ვანო ბერიანიძემ ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურების რიგებში იმსახურა მრავალი წლის განმავლობაში, მათ შორის — საქართველოს პრეზიდენტის პირადი დაცვის უწყებაში, მონაწილეობდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ საომარ მოქმედებებში სამაჩაბლოსა და აფხაზეთში. ... 2020 წლის ნოემბერში დაიღუპა 64 წლის ასაკში. ამისი მიზეზი შეიქმნა ამჟამინდელი გაჭიანურებული პანდემიითარება, რამაც უამრავი ახლობელი და ნაცნობი შეიწირა ჩვენს გარშემო. ვანო სწორედ ვერაგმა დაავადებამ იმსხვერპლა და ახლა მისი სულიც შეუერთდა მისივე თაობის მეგობრებს იქ, ზეციურ საქართველოში... თითქოს "გუნდური" ბედისწერის სიმბოლურობაა იმაში, რომ ისინი, ვისი გვარებიც ჩამოთვლილია ზემოთ, საფეხბურთო მოედანზე მხარდამხარ გამოჩნდნენ და თითქოს წლების თანმიმდევრობით სამზეოდანაც ჩუმად გავიდნენ...

ნათელი — ვანოსა და მის მეგობარ გარდაცვლილ კასპელ ფეხბურთელებს!

# მოულოდნელი თუ აუხსნელი?

ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ხდება. უმეტეს შემთხვევაში არ ვიცით, ვის გავუზიაროთ ნანახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ.

თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა, შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ამ მოვლენის ამსახველი მასალა. მისი გაცნობისა და შესწავლის შემდეგ, თუ იგი საინტერესო იქნება მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით ,,შეუცნობელი,, საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია თქვენს მიერ შემოთავაზებული წერილი გადავცეთ სპეციალისტებს და, შესაბამისად, ავტორი გაეცნოს ექსპერტთა შეფასებებსა თუ კომენტარებს.

## ფეხბურთი

# ამხანაგური თამაშები მზადების ნიშნით

## ზედაც ახალი სეზონის სადებიუტო

* საქართველოს საფეხბურთო პირველობის რეგიონული გათამაშების (ლიგა - 5) მონაწილე "კასპი–1936"-მა, წლევანდელი სეზონის კალენდრის შემუშავებამდე, საკუთარ მოედანზე რამდენიმე ამხანაგური თამაში ჩაატარა: თებერვლის ბოლოს თბილისის "ვიტ ჯორჯია — 2"-ს მოუგო ანგარიშით 2 : 0, მარტში თბილისის "უქიმერიონთან" საბრძოლო ფრე (2 : 2) დააფიქსირა, ხოლო აპრილის დასაწყისში გარდაბნის "სამგორი" მიიღო და მასთანაც ერთბურთიანი სხვაობით გაიმარჯვა.

* ამასობაში განახლდა რეგიონგათამაშება. მაღალ ლიგებში მოასპარეზე გუნდებმა თუ უკვე რამდენიმე ტურის მატჩების გამართვა მოასწრეს მარტ-აპრილში, ლიგა–5-ში 20 აპრილიდან ახმაურდა მასში ახლებურად დაჯგუფებული გუნდების სტადიონები. მათ შორის — კასპშიც.

"კასპი — 1936"-მა ამ დღეს შინ მიიღო ახალციხის "მესხეთი". ისინი შანაც ერთ ჯგუფში იყვნენ და 2020 წლის 30 სექტემბრის კასპური თამაში მასპინძლებმა მოიგეს 5 : 2-ზე.

ახლა, მესხი ფეხბურთელები, როგორც იტყვიან, რევანშის ასაღებად იყვნენ ჩამოსულები. ცხადია, ქართლელებს დათმობა არ სურდათ და სეზონის სადებიუტო მატჩში ორივენი ბოლო წუთამდე თავგამოდებით ცდილობდნენ გამარჯვების მიღწევას, მათ საბრძოლო ჟინსა და მოედანზე დანთებულ ცეცხლს აპრილისებური და კასპური ცივი წვიმა თუ ანელებდა და მათთან ერთად ასველებდა მთავარ არბიტრსაც, რომელსაც რამდენიმე ყვითელი ბარათის აფრიალება მოუხდა ფეხბურთელების დასაშოშმინებლად.

საბოლოოდ დაფიქსირდა ანგარიში 3 : 2 — კასპელების სასარგებლოდ, მათ 2-ჯერ მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება, როცა ახალციხელებმა ორივე ტაიმის დაწყებიდან დროის თანაბარ მონაკვეთებში მოახერხეს მასპინძელთა კარის დალაშქვრა (მე-16 და მე-60 წუთებზე). აი, საწადელი გამარჯვების მომტანი გოლი კი სულაც თამაშის დამატებული წუთების ამოწურვისას შეაგდეს სტუმართა კარში.

გამარჯვებაში ლომის არჩივი ეკუთვნოდა "კასპი–1936"-ში 10-ნომრიანი მაისურით მოთამაშე — მეგოლე — თორნიკე თაგვაშვილს.

მან ნამდვილი ბენეფისი აჩუქა საკუთარ თავსაც და კასპელ გულშემატკივარსაც, რომელსაც ასე მოენატრა ნამდვილი ფეხბურთი. სამივე ბურთი მის პირად ანგარიშზეა, განსაკუთრებით ტექნიკური და ულამაზესი გამოუვიდა მესამე — "გოლდენ–გოლი".

(კასპელები მეორე ტურის თამაშს აპრილის ბოლოს გამართავენ გორში, სადაც, ასევე, შარშანდელ ნაცნობ "ლეგიონს" ეთამაშებიან.)

## სპორტ_INFO

### „ხვადის„ ხვავრიელი მონაგარი

მწვრთნელმა დავით დალაქიშვილმა მარტის ბოლოს თბილისში გამართულ პირველობაზე გამოსვლის ნებართვა კლუბის 7 წევრს მისცა, ვისიც ყველაზე მეტად ეიმედებოდა. ნდობა უკლებლივ ყველამ გაუმართლა და საერთო ჯამში მათ კასპში წამოიღეს 8 მედალი.

საერთო მონაგარი ასეთია: პირველი ადგილი და ჩემპიონობა – 4, ხოლო მეორე და მესამე ადგილები – 2 - 2.

ყველაზე წარმატებულად გამოვიდა რიმა ბუცხრიკიძე. შეჯიბრების პირველ დღეს მან 18–20-წლიანთა ასპარეზობაში (61 კილოგრამამდე სპორტსმენთა შორის) მესამე ადგილი დაიკავა, ხოლო მეორე დღეს ჩემპიონობა მოიპოვა იმავე კატეგორიაში, ოღონდ უფროსებში.

პირველ დღეს ჩემპიონები გაგვიხდნენ: ელენე ჩიტიშვილი (14–15-წლიანები) და ქეთევან წიკლაური (16–17-წლიანები), ხოლო ვაჟებიდან – ვახტანგ წიკლაური (14–15-წლიანთა შორის).

მეორე ადგილები დაიკავეს გივი ფსუტურმა და დავით ჯინჯოლიამ (შესაბამისად, 16–17 და 18–20-წლიანებში).

მესამე ადგილის მფლობელია თამაზ ნაბახტეველი (18 წლის ასაკის ზევით).

ესოდენ ბარაქიან გამოსვლას ვუ-ღოცავთ "ხვადის" კარატისტებსაც და მათ მწვრთნელსაც.

## ქარატე

### საქართველოს ჩემპიონატი კარატეში (კუმიტე) – ონლაინის რეჟიმში

საბრძოლო ხელოვნებათა კლუბი "კასპის" წარმომადგენელმა მარიამ მანძულაშვილმა, კარგახანია, შეგვაჩვია საერთაშორისო მასშტაბის ჩემპიონატებსა და ტურნირებში წარმატებით გამოსვლას. შეგახსენებთ, რომ 2019 წლის რუმინეთში გამართულ მსოფლიო პირველობაზე ("შოტოკან-კარატეში") ორ ასაკობრივ კატეგორიაში სამი საპრიზო ადგილი დაიკავა პირად და აბსოლუტურ ჩათვლებში (აი, 2020 წლის სეზონი, ცხადია, გაუცდა კორონაპანდემიური სიტუაციის გამო).

ზემოაღნიშნულ საქართველოს პირველობაზე მარიამმა კლუბის პრესტიჟიც დაიცვა და საკუთარი რეპუტაციაც: 14–15-წლიანთა შორის იასპარეზა (+54 კილოგრამი) და ჩემპიონის სახელი არავის დაანება. არადა, 14 წელი ორიოდე კვირის წინ შეუსრულდა (დაბადებულია 2007 წლის 12 აპრილს).

## ქარატე

### მარიამ მანძულაშვილი – მარტის ჩემპიონი და აპრილის იუბილარი

მარიამი ამჟამად კასპის მესამე საჯარო სკოლის მერვე კლასის მოსწავლეა. მას ავარჯიშებს მამა, ვეტერანულ ასაკშიც მოქმედი კარატისტი ალექსანდრე მანძულაშვილი.

აღსანიშნავია, რომ ურიგოდ "კასპის" არც სხვა წარმომადგენლები გამოვიდნენ.

პირველი ადგილის მფლობელები გახდნენ: თამაზ ნავროზაშვილი და ლანა დავითაშვილი; მეორე ადგილისა – დემეტრე ნავროზაშვილი, ხოლო მესამისა – ზურაბ ჯობაძე და საბა ღვალაძე.

გაჯიბრდნენ თვითონ მწვრთნელებიც: 44-წლიანთა ჯგუფში პირველადგილოსანი გახდა ალექსანდრე მანძულაშვილი, 35-წლიანებში კი მეორე ადგილზე გავიდა ლევან მამულაშვილი.

## ქართული ჭიდაობა

### ჭაბუკთა პირველობის მეორე პრიზიორი – იოსებ ჟივიძე

აპრილის დასაწყისში ჭაბუკებმა ახმეტაში იასპარეზეს, სახელოვანი მოჭიდავეების მხარეში, საიდანაც არაერთი ცნობილი ქართული სტილის ოსტატი გამოვიდა. იქაურ და კასპელ მოჭიდავეებს დიდი მეგობრობა აკავშირებთ (ეს სხვა თემაა...). იქაურ შეჯიბრებაში ახალთაობელი კასპელების გამოსვლას რაც შეეხება, ამჯერად ერთმა წამოიღო ახმეტური "ვერცხლი".

2021 წლის საქართველოს ჭაბუკთა პირველობის ვიცეჩემპიონობა მოიპოვა იოსებ ჟივიძემ (სოფ. მეტეხის საჯარო სკოლის მოსწავლემ).

კორონამდელ პერიოდში გერმანიაშიც იასპარეზა თავის პირველ საერთაშორისო შეჯიბრებაში, სადაც უმედლოდ არ დარჩა.

## ქართული ჭიდაობა

### საქართველოს ახალგაზრდული პირველობა – კასპში

ახლახან, 17-18 აპრილს კასპმა უმასპინძლა საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის კალენდარული გეგმით გათვალისწინებულ ჩემპიონატს ახალგაზრდებს შორის (2001–03 წლებში დაბადებულთა შორის). 8 წონითი კატეგორიიდან 3 ჩემპიონი გაუხდა ქარელის გუნდს, 2 – გორის, ხოლო თითოთითო – ქუთაისის, თელავისა და კასპის გუნდებს.

ყველაზე პრესტიჟულ წონაში (მძიმეწონოსანთა შორის, რომელთა მასა 90 კილოგრამს აღემატებოდა,) ოქროს მედალი, მასპინძელთა წარმომადგენელმა – ირაკლი დემეტრაშვილმა დაინარჩუნა.

დასანანია, რომ მას მხარი ვერ აუბეს თანაგუნდელებმა. ფინალურ ბარიერამდე მიაღწია მხოლოდ ნუგზარ გელხაურმა (60-კილოგრამამდე კატეგორიაში), მაგრამ გამარჯვება ქარელელ მეტოქეს გაატანა.

(ფოტოზე – ირაკლი გადაღებულია საქართველოს ძიუდოს აკადემიის დარბაზში, თავისი პირველი მწვრთნელის, ნუგზარ მამულაშვილისა და ნაკრების მწვრთნელის, ვაჟა ბალხამიშვილის გარემოცვაში, 2021 წლის ახალგაზრდული პირველობის დროს, სადაც მან მისთვის უკვე უჩვეულოდ მიჩნეული, მხოლოდ მე-3 ადგილი დაიკავა).

## ჭიდაობა ძიუდო

### სანდრო ახლოური საქართველოს ჩემპიონია

17 წლის სანდრო ახლოური კასპის მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეა. წლების მანძილზე ვარჯიშობდა კასპის სპორტკომპლექსის დარბაზებში, აქ აიდგა ფეხი და მოიპოვა პირველი წარმატებები:

თანატოლებში გახდა საქართველოს პრიზიორი (ქართულ ჭიდაობაში) და კასპში გაიმარჯვა რამდენიმე ხსოვნის მემორიალურ ტურნირში, იყოჩაღა სოფლების არენებზეც.

უკვე ორი წელია, რაც სავარჯიშოდ ქ. თბილისში გადავიდა, სადაც ძიუდოს კლუბ "შევარდენი–2005"-ში ოსტატდება ნაკრების მწვრთნელთან, გურამ მოდებაძესთან.

სანდრო წარმატებული იყო ბოლო შეჯიბრებაზე: საქართველოს პირველობაზე (2004–05 წლებში დაბადებულთა შორის) ჭიდაობა ძიუდოში.

ფინალამდე მან 5 მოწინააღმდეგეს სძლია, იქ კი თანაკლუბელი ვახტანგ პავლიაშვილი დაამარცხა და საქართველოს ჩემპიონი გახდა (73 კილოგრამის კატეგორიაში).

კასპელ ჭაბუკს ახლა უფრო დიდ შეჯიბრებაზე გამოსვლას უგეგმავენ – "ევროპის თასის" გათამაშება პოლონეთის ქ. ბიელსკო-ბიალაში ჩატარდება.

(ფოტოზე – სანდრო თავისი სკოლის სპორტის მასწავლებელთან, დავით დალაქიშვილთან, ერთად).

## ზინა ქისტიშვილი — ჩვენი მარჯვენა ხელი

ტერმინი "კორექტორი" ლათინურიდან მომდინარეობს. ჩვენებურად ნიშნავს "გამსწორებელს", ანუ საგაზეთოდ დასაბეჭდი ტექსტის გამმართველს, გამწყობს. სტილისტის საქმიანობა, ამ თვალსაზრისით, უფრო სხვა ყაიდის, აღმატებული ფუფუნება იყო და ამიტომ კორექტორად მომუშავე, იმავდროულად, სტილისტიც უნდა ყოფილიყო და შტატიანი თუ შტატგარეშე ავტორის "მარჯვენა ხელიც"

ამდენად, ქალბატონი ზინა პირველი წამკითხველი იყო რედაქტორის მიერ დასაბეჭდად ვიზირებული და სტამბური წესით ლინოტიპის მანქანაზე აწყობილი ნებისმიერი წერილისა და სწორედ იგი თავისი ხელმოწერით იძლეოდა დასტურს გაზეთის ახალი ნომრის დასაბეჭდად.

ის ათეული წლების მანძილზე კორექტორობდა "განთიადის" რედაქციაში და წარმართავდა ერთგვარად მონოტონურ და თვალსაკირკიტო საქმიანობას, სადაც მცირეოდენი მოდუნებაც კი საკმარისი იყო დასანანი უზუსტობისა და კორექტორული შეცდომის დასაშვებად.

რედაქციის განყოფილებათა გამგეებსა და ლიტერატურულ მუშაკებს (ანუ — კორესპონდენტებს) ნომრის მოსამზადებლად მორიგეობა მონაცვლეობით, წინასწარ შედგენილი გრაფიკით, გვიხდებოდა. კორექტორი კი შეუცვლელი ფიგურა იყო ამგვარ დუეტში, რაც ნიშნავს, რომ გამწევი ლოკომოტივის წილი მასზე მოდიოდა.

თავგადადებული ბოლო მეცხოვნესავით ეს კორექტორი ქალბატონი, ყველა ახალგაზრდა თანამშრომელი "ზინა დეიდას" რომ ვეძახდით, იყო ის განთიადელი, ვისაც გაზეთის სახე, სახელი და პრესტიჟი უნდა დაეცვა ფართო საზოგადოების წინაშე, ანდა, მოკირკიტე და მოსეირე მკითხველის თვალში. იგი იმგვარ დედას ედრებოდა, ვინც ოჯახის უფროსზეც ზრუნავს, შვილებსაც მზრუნველ კალთას აფარებს, არც კერას აციებს და ცეცხლის ღველფსაც სულს უბერავს; ვინც სტუმარს ნათელი შუბლითა და კეთილი გულით ეგებება ...

ხომ დგება წუთები, როცა ჩვენი წასული ახლობლები ძალიან, ძალიან გვაკლია... თითქოს გულზე მთელი სოფლის დარდმა მოიკალათა და მხოლოდ იმ ახლობელს შეუძლია შენი მოსმენა, გაგება, თანაგრძნობა...

სულ გაზაფხულს ელოდებოდი და როგორც კი "ხეში წყალი ჩადგებოდა", ამბობდი — "ჩემი დრო მოვიდაო". როგორ ბანალურადაც არ უნდა ისმოდეს ეს ფრაზა — ისევ მოვიდა გაზაფხული.

გახსოვს, სულ ჯავრობდი — "წასულებზე წერა ყველაზე ძნელია", არა და არავინ დაგრჩენია პატივმიუგებელი; გახსენებაც გამორჩეულად თბილი გამოგდიოდა. თითქოს სევდის ბოქლომს "ინახავდი" და შენი ჯადოსნური გასაღებით ხსნიდი საკრალურ კარებს... აქ დარჩენილებს მხოლოდ ნათელს უტოვებდი და იმ ნათელში ჩანდა ყველა ის კარგი, რითიც ფასობდა თითოეული მათგანი.

ერთხელ შენს თავსაც კი აჯობე, ჩვენი ქალაქის მავანი სახლის წარჩინებული ბინადარნი გაიხსენე, ყველა ერთად. იმ დღეებში გვეკითხებოდნენ — ეს როგორ მოიფიქრეთ, ამდენი ჩინებული კასპელი როგორ "მოკრიბეთ და გააცოცხლეთო?!" შენ კი იმეორებდი "წერილი კი არ იყო კარგი, იმდენი დიდი ადამიანი ცხოვრობდა იმ სახლში, გახსენება ცუდი როგორ გამოვიდოდაო?!" ... თუ ისე არ გამოდიოდა, როგორც შენ გინდოდა, თუ უკმაყოფილო არ იყავი წერილით, აიჩემებდი — "სიტყვები მეკარგებაო..." მერე ეს "დაკარგული" სიტყვები ემოციად ლაგდებოდა და იბადებოდა შენი წერილები,

## დალი მელაძე - საკრალურ კარებს მიღმა

დალი მელაძის წერილები.

ხშირად ამბობდი — "მთავარია კვალი ნათელიო!" ჩვენ შენი სითბო გვენატრება, შენი ნათელი, მეგობრობა, გატანა, სიყვარული, ერთგულება გაზეთის და თანამშრომლების მიმართ... როგორ გვინდა ისევ ჩვენთან იყო.

აი ახლაც, ისე მოგვენატრე, "უმიზეზოდ" ან იქნებ შენი დაგვიანებული ყვავილების, შემოსული გაზაფხულის ან იქნებ აღდგომის გამო?

## ლერი მუსხელაძე — ჩემი რესპონდენტი



უამრავმა მეტნაკლებად ცნობილმა მწერალმა თუ შემოქმედმა კალმოსანმა, ჩვენშიცა და უცხოეთშიც, მუშაობა დაიწყო პატარა გაზეთში. შესაბამისად, "სიტყვის სამჭედლოში" სხვადასხვა პოზიციაზე მოსინჯა საკუთარი შესაძლებლობანი — მიმომხილველობდა, ფელეტონისტობდა, კომენტატორობდა, ანუ, გაიწაფა, მომაგრდა, დაოსტატდა და, ბოლოს, იქიდან, ციცქნა გაზეთიდან, გაიკვლია სამწერლო გზა დიდი ლიტერატურისაკენ.

ერთ ასეთ ჩვენებურ ჟურნალისტზე მსურს მცირე გახსენების შემოთავაზება:

ლერი მუსხელაძეს ჟურნალისტური საქმიანობის გარკვეულ ეტაპზე, როგორც ჩანს, სარაიონო გაზეთი ეპატარავა და ამიტომ დედაქალაქურ-რესპუბლიკურ პრესატელევიზიაში გაშალა მხრები: ჯერეთ ხომ იჟურნალისტა და მერე თვითონვე დააარსა რამდენიმე გაზეთი, დააფუძნა ჟურნალისტიკის ინსტიტუტი, გამოსცა ჟანრობრივად და თემატურად განსხვავებული მცირე თუ დიდტანიანი წიგნები.

... ერთხელ, ჩემი სამხედრო ჟურნალისტობისას, თბილისში ვერაზე ვეწვიე ბავშვობიდანვე ნაცნობი საგაზეთო უზარმაზარი კორპუსის მეოთხე სართულზე, ოღონდ, როგორც რესპონდენტს — ავტორს წიგნისა "სამიზნეზე შემომჯდარი ბედისწერა" (მისი ეს დოკუმენტური ნარკვევი ეძღვნება ე. წ. "აფხაზეთის ომში" გმირულად დაღუპული ჩვენი დროის გმირის, ტარიელ შარიფაშვილის, ნათელ ხსოვნას) და ინტერვიუ ვთხოვე. საქმეში ჩაფლულობა და მოუცლელობა კი არ მოიმიზეზა, არამედ კითხვარის ჩამოწერა მთხოვა. დავუტოვე, სულ რამდენიმე დღეში კი მზა პასუხები დამახვედრა ხელნაწერის სახით (მახსოვს, მერე, ის ინტერვიუ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს "სამხედრო გაზეთშიც" დავბეჭდე).

ამბიციურ რესპონდენტებს რომ სჩვევიათ დიდმოხელე "ნაჩალნიკებივით", მათებურად არ მოქცეულა და არ უთხოვია (არ მოუთხოვია), — დაბეჭდვამდე მასალა აუცილებლად წამაკითხეო!

პროფესიონალ ჟურნალისტს უმცროსი კოლეგისადმი საქმიანი ურთიერთობის ეტიკეტის ნორმები თუ დაწერილ-დაუწერელი კანონები არ ეშლებოდა. აკი მაშინ სამახსოვროდ გადმოცემულ ცეროდენა წიგნს — "ოქროს ობობა" — ასეც წააწერა: — "ჩემს უმცროს მეგობარს — კოლეგას"...

ახლა, მასზე მოგონების წერისას, შორეული 1973 წელი მახსენდება:

იმჟამინდელი "განთიადის" რედაქტორის მოადგილე — ლერი მუსხელაძე — კასპის რედაქციიდან წავიდა და სარედაქციო-საშტატო გადაადგილებათა გამოთავისუფლებულ ლიტმუშაკის ადგილზე მივიღე მიწვევა ბატონი გურამ კლდიაშვილისაგან.

განგებისმიერი და ლოგიკური ჯაჭვი იკვრება: საკუთარი ახალი შანსის ძიებაში რედაქციის ძველი, გამოცდილი თანამშრომელი წავიდა და სხვასაც დაუტოვა, მიუწილადა შანსი!

ამირან ტალახაძე.

## გიორგი ნიჟარაძე — სიტყვის ჭყვიაში მბეჭდველი ოსტატი

გიორგი ნიჟარაძე — ევროპულომგამოვლილი-1970 წელს კასპის სტამბაში დამხვდა.

გიორგი ნიჟარაძე, ჯერაც დენთისსუნგამოყოლილი და ომის ცეცხლში გაჭაღარავებული, ქართული სიტყვის სტამბურად ბეჭდვის მართლაც მესაიდუმლე და პროფესიონალი გახლდათ — მაღალოსტატურად ფლობდა ასოთამწყობის, ლინოტიპისტის, მეტრანპაჟის, მბეჭდავის, მკინძავის, ტყვიის (ლითონის მასალის) მდნობელისა და სხვა სასტამბო ხელობებსაც, თვით დირექტორობის ჩათვლით... იქ, ფრონტის ხაზზე, საველე პირობებში, ვაგონ-სტამბის ორგანიზებაც დაუვალებიათ მისთვის, ძალუძდა ამ საქმის მოთავეობა და იმიტომ, ის ხომ მესტამბე — ქალის შვილი იყო და ფეხი სულაც კასპის ძველ სტამბაში აუდგამს, მერე დედას ამოსდგომია მხარში...

ჰო, ომიც გადაიტანა და საველე სტამბიდან ისევ სიტყვამბეჭდაობას მოუტრიალდა, ამჯერზე სამშვიდობო მისიის გაზეთს მფარველობდა და ხელდასხმულობდა, მაკეტ-ნახაზიდან ისეთი დონის ნომრები გამოუყვანია, ტექნიკური თუ მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით მთელი საქართველოს სარაიონო გაზეთებში საუკეთესოდ მიუჩნევიათ, საკონკურსო ჟურს რაიმე ზადი და წუნი ვერ აღმოუჩენია!..

"სიტყვა" მშვიდობის დროს აგურია და ბრძოლის დროს — ტყვიით სავსე ყუმბარა! — ხომ გახსოვთ ქართველი კაცის ფრთიანი გამონათქვამი, ჰოდა, გიორგი ნიჟარაძე ის კასპელი მესტამბე იყო, ვინც სიტყვას აგურადაც იყენებდა და ყუმბარადაც ხმარობდა.

## მადლობა

ქალაქ კასპში, ფარნავაზის ქუჩაზე მცხოვრები 8 ოჯახი მადლობას ვუხდით შიდა ქართლის მხარის გუბერნატორს მამუკა სალარეიშვილს და კასპის მუნიციპალიტეტის მერს ვახტანგ მაისურაძეს. მათი დახმარებით დაგვიკანონდა საცხოვრებელი ბინები. ამ ფაქტს 30 წელი ველოდით.

*ც. მარგიშვილი, გ. კაციაშვილი, ლ. კაციაშვილი, გ. თვაური, თ. ხუროშვილი, მ. ილურიძე, ჯ. ილურიძე, კ. პოლოცკი.*

## მადლობა

რამდენიმე ხნის წინ კასპის მუნიციპალიტეტის ყოფილი მერი მანუჩარ მერაბაშვილი ავტოსაგზაო შემთხვევის დროს დაშავდა. რომ არა ეს შემთხვევა, ალბათ, ვერც მოვახერხებდი სახალხოდ მადლიერების თქმას ამ ღვთისნიერი ადამიანისათვის.

კერძოდ, ვცხოვრობ სოფელ ხვითში. ბატონი მანუჩარი ხშირად ჩამოდიოდა და გვეხმარებოდა პრობლემების მოგვარებაში.

ბატონო მანუჩარ, თქვენ ყველა გაჭირვებულს ხელს უწვდიდით, დაეხმარეთ ჩემ ოჯახს, ჩემ შვილიშვილებს...

უღრმესი მადლობა თქვენი მზრუნველობისა და გულისხმიერებისათვის. ღმერთს ებარებოდეთ.

*ლალი ვანიშვილი.*

## გამოსათხოვარი

### რუსუდან ხეჩუაშვილი

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 72 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი, გაზეთ "ახალი განთიადის" ვეტერანი თანამშრომელი რუსუდან ხეჩუაშვილი.

რ. ხეჩუაშვილი 1948 წლის 24 მაისს დაიბადა კასპის რაიონის სოფელ დოესში. მშობლიური სოფლის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

მან "დედაუნივერსიტეტის" (უკვე იმ დროიდან როგორც უწოდებენ ამ უმაღლეს სასწავლებელს) ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სრული კურსი დაასრულა 1975 წელს და 2 დეკემბრიდან დაინიშნა კასპის რაიონულ გაზეთ "განთიადში" მშრომელთა წერილების განყოფილების გამგედ.

რუსუდან ხეჩუაშვილმა 46 წლის განმავლობაში უერთგულა არჩეულ პროფესიასა და მშობლიურ რაიონში გამომავალ ბეჭდურ გამოცემას. მან თავისი მთელი შეგნებული ცხოვრება, ცოდნა და გამოცდილება მოახმარა ქართულ პრესაში კეთილშობილურ სამსახურს, სიცოცხლის ბოლომდე იბეჭდებოდა "ახალი განთიადის" ფურცლებზე საკუთარი გვარითა თუ ფსევდონიმით (რუსუდან ქართლელიშვილი).

მარადიული ნათელი, ჩვენო რუსუდან, შენს ხსოვნას. ამიერიდან შენი სახელიც შეემატება გარდაცვლილი განთიადელების სიას.

განთიადელები.

## ქვათახევში, ლექსთა შეჯიბრებზე

**დასასრული.**

წყალს ნატრულობდა, თუმცა, ჩვენთან, ქვათახევში, 1966 წლის 30 ივლისი იდგა და პოეტს ალსასრულამდე კიდევ რამდენიმე დღე ჰქონდა დარჩენილი.

იყო ლექსები, იუმორი, ამღერებული სალამური...

ღმერთების ტრაპეზს ჰგავდა ქვათახევში, მწერლებთან ლხინი და სტუმარ-მასპინძლობის ქართული, ტრადიციული რიტუალი...

ოჰ, იმ ღამემ როგორ აგვაბრიალა!...

ახლა, როცა ამ შეხვედრას ვიხსენებ, გოგლას ეს უბადლო ლექსი ამედევნა და გულში ტკივილმა გამიარა, რამეთუ, იმ მონაწილეთაგან, ბევრი ჩვენს შორის აღარ არის და ამ სტრიქონებით პატივი მივაგე მათ ნათელ ხსოვნას.

**ნორა ედიშერაშვილი.**

გაზეთი ,,ლიტერატურული საქართველო,", 2018 წლის 28 სექტემბერი.

(გაგრძელება იქნება) *გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ კასპის რაიონული გაზეთი ,,ახალი განთიადი,, (,,განთიადი,,) ათვლის წერტილი, 16 დეკემბერი, 2020 წელი და 26 თებერვალი, 2021 წელი, აგრეთვე, ,,პროვინციული ქალაქის ცხოვრებით," მარტი, 2021 წელი.

ეძღვნება კასპის რაიონული გაზეთის იუბილეს.

**საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაციის რაიონული საბჭო მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჟურნალისტი რუსუდან ხეჩუაშვილი და სამძიმარს უცხადებს გაზეთ ,,ახალი განთიადის,, კოლექტივს.**

## "ჩონგურს სიმები გავუმში"...

**დასასრული. დასაწყისი იხ. გვ3.**

რეწვის ასოციაცია ქ. ახალციხეში, "რაბათის" სანახაობრივ ტერიტორიაზე სისტემატურად მართავს დიდ ფესტივალს. უკვე წლებია, რაც გიორგი ნიპარიშვილი მისი უცვლელი მონაწილეა და ცალკე კუთხე ეთმობა.

გასულ წლებში, ასევე, წარმომადგენლობდა თბილისური "ექსპოჯორჯიას" საგამოფენო სივრცეში, "ექსპობათუმის" სასტუმრო "შერატონის" ანალოგიურ ღონისძიებაში, 2020 წელს "გორქალაქობაზე" გამოიწვია დამთვალიერებელთა დაინტერესება.

შარშანვე, ოქტომბერში, საგანგებო მიწვევის წინადადება მიიღო ქ. სტამბოლიდან (თურქეთი) – ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტების საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზატორებისაგან. შავიზღვისპირა ქვეყნების ესოდენ პრესტიჟულ ღონისძიებაზე საქართველოს მხოლოდ 2 წარმომადგენელი უნდა ჰყოლოდა, მაგრამ გიორგის გამგზავრება ჩაიშალა კორონაპანდემიის გამო. ცხადია, მას დიდად დაწყდა გული, მაგრამ, თითქოს ყოველივე ამის სანაცვლოდ, იმავე თვეში უდიდესი სიხარული ეწვია: 13 ოქტომბერს იგი ქალიშვილის მამა გახდა.

*** ტელესიუჟეტების გმირი ...**

2017 წლიდან გიორგის ყურადღება არ აკლია ქართული სატელევიზიო სივრცის წამყვანი არხების მხრიდან. პირველი მხარდაჭერა ტელეკომპანია "იმედიდან" წამოვიდა, თემატური სიუჟეტი "იმედის დილის" პროგრამამ გააშუქა. შემდეგნი იყვნენ: "რუსთავი–2", "დია", "პოსტ ტვ"... გიორგი ჯერჯერობით არ გამოჩენილა ქართულ ბეჭდურ მედიაში (კასპის გაზეთი "ახალი განთიადი" ამ მხრივ ნამდვილად პირველი წარმდგენია).

*** გრანტები, გრანტები...**

საქართველოში, რეგიონების მიხედვით, ახალგაზრდულ სამეწარმეო პროექტს ახორციელებს საერთაშორისო ასოციაცია "სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსათვის". კეთილშობილური მიზანი გათვლილია იმაზე, რომ ადგილებზე სწორედაც პირადული მეწარმეობის მეშვეობით ხელი შეუწყოს ახალგაზრდების საქმიანობას.

აი, ამ ასოციაციის პირველი საგრანტო კონკურსის გამარჯვებული გახლავთ გიორგი ნიპარიშვილი. ის 10.000 ლარით დაფინანსდა.

მანამდე კი გიორგის სასიცოცხლოდ მშველელად გამოუჩნდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოცხადებული პროგრამა "აწარმოე საქართველოში".

საგულდაგულოდ გაეცნო მის პირობებს, დარეგისტრირდა და წარადგინა საკუთარი ბიზნეს-გეგმა. გიორგი ახლა ღიმილით იხსენებს, რომ, ავტორის მცირე ასაკიდან გამომდინარე, თავდაპირველად, რეალურობაში დაეჭვდნენ კიდეც და მხოლოდ გარკვეული პერიოდის განხილვების (ტრენინგების) შემდეგ დაუდასტურეს.

ასე იყო თუ ისე, მასზე გაიცა მაქსიმალურად შესაძლებელი თანხა, რაც კი ერთ მეწარმეს შეიძლებოდა მიეღო.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანება.

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ კასპი სააკაძის ქ. № 68 ტელეფონი 22-25-76